


„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სა-
რადოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე
ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში; გარეშე
მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. „Дროва“

ფასი წლით 9 მ., 11 თვით 8 მ., 50კ. 10 თვით—
8 მ., 9 თვ.—7 მ., 50კ. 8 თვ.—7 მ., 7 თვ.—6 მ.
6 თვ.—5 მ., 5 თვ.—4 მ., 50კ., 4 თვ.—4 მ., 3
თვ.—3 მ., 2 თვ.—2 მ., 1 თვ.—1 მ.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპეიკი.



ბამონის ყოველ-ღვინო მრავალთა ბარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე
8 კ., პირველზე 16 კ. სრულზე განსაზღვრული გვერ-
დი 25 მანათი; პირველი 50 კ., ორივეს ქვემოთ
ნებისა ითვლება მათგან დაქვრილის ადგილის კვა-
ლობაზედ.

თუ ხაზობა მოითხოვს, რედაქცია გააწარმებს და შეაქო-
ლებს რედაქციის გამოცხადებულ წერილებს. დაუბეჭდავ წერი-
ლებს რედაქცია ვერ დაუბეჭდებს ავტორს.

Объявления изъ Россіи, Царства Польскаго и за-
границы принимаются только въ цент. конторѣ объявл.
Л. Метцль, Москва, Петровка, № 6.

„დროების“ ფასი აგვისტოს პირველი დამ წლის დამლოვამდე 4 მან. და 50 კაპ.; სოფლის მასწავლე- ბელთათვის 3 მან. და 50 კაპ.

შინაური ქრონიკა

ამ დღეებში მართლ-მანათიის
თავად აზნაურთ წინამძღოლმა თ-დმა
ი. პ. მუხრან-ბატონმა მიიწვია რამ
დენიმე თავად-აზნაურა, რომელთაც
უნდა მოელოდა აზნაურთ მასწავლე-
ბელთა სასწავლებლისათვის; ამ სას-
წავლებელს ეძღოდა იმ. სათ. აზნ.
ბანკისაგან ყოველ წლივ რაიმე შემ-
წვობა. წელს რადგან ბანკს არ დარ-
ჩა საკმაო მოგება, ხსენებულს სასწავ-
ლებელს შემწვობა მოაკლდა. ამის
გამო სასწავლებლის მზრუნველობამ
მიმართა გუბერნიის წინამძღოლს—
აღმორეგირთ რაიმე წყარო, თორემ
სასწავლებელი ვერ იცოცხლებსო.
რადგან არ აღმოჩნდა ისეთი თანხა,
საიდანაც ყოველ-წლიური შემწვობა
ჰქონოდა სასწავლებელს, თ-დმა მუხრან-
ბატონმა აჩუქა მას ქალ. ბორში ერ-
თი საკუთარი სახლი; ამ სახლს დას-
კირდება მცირეოდენი გადაკეთება და
სასწავლებლისათვის სადგურადაც გა-
მოდგება. ხსენებულს სახლზე თუმცა
ბანკის ვალია, მაგრამ ამის შემძენით
სასწავლებელს მინც კიდე მოაკლდე-
ბა ყოველ-წლიური ხარჯი—1000
მან. რადგან ბანკს ყოველ წელს 400
მანათით ისტუმრებს ეს სახლი და
სასწავლებლის სახლი-კი 1400 მან.
არის ღირს ნაქირავები ამას გარდა
მომავლის წლიდამ სასწავლებელს
მოესპობა ყოველ-წლიური სუბსიდი—
1000 მან., რომელსაც მთავრობა
იძლეოდა.

მართლ-მანათიის თავად-აზნაურთ
წარსულს საზოგადო კრებაზე დიდი
ბაასი ასტეხა საერთო ფულის გაწე-
რამ იმ თანხის შესადგენად, რომე-
ლიც უნდა მოხმარებოდა ამ თავად-
აზნაურობის შეილთა განათლების
საქმეს. მანათიის (სილნალის მაზრის)
თავად-აზნაურობა ვერ გაიყოლია
მართლის თავად-აზნაურობის მა-
გალითმა. პირველთ სულ სხვა
წესი ითხოვეს ფულის გაწერისა და
ამიტომაც საზოგადო კრებაზე ვერ
დამთავრდა ეს საქმე. მხლა, როგორც
გავიგეთ, ამა აგვისტოს 20 ს. შეიკრი-
ბებოა სილნალს მანათიის თავად-აზნაუ-
რობა ამ ფულის გაწერის თაობაზედ
მოსალაპარაკებლად.

შაქრის ქარხნის გამართვა ჩვენს
ქვეყანაში გადაუწყვეტიათ კიდევ. მრთ
მრთს კამპანიას გამოუგზავნია თვისი
წვერი, რომელიც აარჩევს უფრო
მოსახლენ ადგილს ქარხნისათვის.

წელს ქარხნის ოლქში კარგი
მოსავალი ყოფილა. როგორც იწე-
რება «ქარხის», ხორბალი, ექვსას ათას
და ქერი ხუთას ათას ფუთამდე მო-
ვია; ამის გამო მოსალოდნელია სია-
ფეცაო—ფუთი ხორბალი 70 კ. და
ქერი 30 კ. ზევით არ აიწევსო.

ამ წამად ჩვენს ქალაქში ახა-
ლი გზა გაჰყავთ ესრედ წოდებულს
სიციანოვის აღმართზე. ბზის მკეთე-
ბელნი მეტის წინ-დაუხედველობით
ისერიან ლალუმებს და თუ აქამდის
უბედურება რამ არ მომხდარა, ეს კი-
დეგ ნებას არ აძლევს გზის მკეთებელთ
კვლავ განაგრძონ ლალუმების სროლა
იმ ადგილას, რომლის მახლობლად
სილის ქუჩაზე ხალხი ბლომად დარ-
ბება. მინმე ტიმოფევისა სწერს «ძა-
ვანში» რომ გასულს 10 რიცხვს,
ნაშუადღევის 3 საათზე ფაეტონით
მივიღოდი ხსენებულს სილის ქუჩა-
ზე; უეცრად საშინელი გრილი
გაისმა ჰაერში, როცა სიციანოვის
აღმართს მივუახლოვდით და ერთი
დიდი ნაფლეთი ქვისა ფაეტონის ცხე-
ნებს ჩაუვარდათ ფეხებშიო. სხენები
გაგიჟდენ, ფაეტონი გადაბრუნდა და
მეც გული შემიწუხდაო.

ლალუმის ხმარება ჩვენ ამ რიგად
გავიგონია: თუ მინცა-და-მინც
ჰსურთ, რომ ღლე ამუშავონ ლალუ-
მი, მაშინ შორე-ახლოს კაცები უნ-
და იყოს დაყენებული გამველ-გა-
მომვლელების გასაფრთხილებლად; და
კიდევ უკეთესი იქნება, თუ ღლე
თვით იმუშავენ და მხოლოდ ღამ-
ღამეობით ამუშავენ ლალუმს, რო-
ცა მოძრაობა შესწყდება.

ძლივს მიუტყვევიათ ყურადღე-
ბა შავი-ქვის ვაჭრების უკანონო ქე-
ვაზე და ერთი მათგანი, რომელიც
პირველი გილიდის ვაჭრად ითვლება
ქვირილაში, კიდევ გამოუაშკარავე-
ბიათ. ამ უსინდისო ხალხის მცარ-
ცვისათვის ოთხი აქტი შეუდგენიათ
და სხვა ვაჭრებსაც ეხლა უფრო თვალ-
ყურს ადევნებენო.

ბორის მაზრაში დავა ჰქონიათ
მამულზედ ერთ თ. ა—რს და ერთს

კიდევ სხვა პირს. უკანასკნელს მამუ-
ლი მფლობელობითი ფურცლით ჩა-
ბარებული ჰქონია, მაგრამ მითი სარ-
გებლობა მინც ვერ მოუხერხებია,
რადგან პირველი ძალადობდა, თურმე,
და შემოსავალს არ ანებებდა. ღაჩა-
რულს მამულის-პატრონს მიუმარ-
თავს ერთის პირისათვის ამ საქმეში
დასახმარებლად, მაგრამ იქ დასწე-
ბულა თურმე ის ულუმბევა, რომ-
მელზედაც ამ დღეებში ჩვენს გაზეთში
იყო ნათქვამი და რომელიც გზე-
ბის კეთებაზედ შეშლილა და უთქვამს
ა—რისათვის: «ურთაფერს დაანებებ
შენს მოპირდაპირს, თუნდა შიგ
ჩაჰკალი და პასუხის გამცემი მე ვიქ-
ნებო». იქ დამსწრე ხალხი გაუოცე-
ბია ულუმბევას საქციელს და ვეღა-
ნი ჰქვირობენ, თურმე, რატომ ამ
უწესობის განმწესებელს გიჟების სახლ-
ში არ ჩამწყვედვენო.

„დროების“ კომპრომისი

ს.ო.შ. ალი, აგვისტოს 6-ს. სოფელი
ალი არის მდებარე ბორის მაზრაში
რვა ვერსის სიშორეზედ სურამიდან
აღმოსავლეთით. ეს სოფელი უწინ ქა-
ლაქი ყოფილა; აქ ნახავს კაცი ძველად
მშენიერს პლანზედ აშენებულს ხუთს
ქვითკირის ეკლესიას სომხისას და ერთს
მართლ-მადიდებლისას; ხენის დროს
გლეხები პოულობენ სხვა-და-სხვა ძველს
ნ.ეთეულობას თითო-ოროლა ფულს
და ქვევრებს.

ამ სოფელში სცხოვრობს ას-ოც
კომლამდე გლეხობა, ამათში იქნება
ორმოც კომლამდე სომეხთ ბრიგა-
რიანი და დანარჩენნი მართლ-მადი-
დებელნი; ეს სოფელი არის დამიჯნუ-
ლი სახელმწიფოდ 1882 წელსა და ყვე-
ლა ამ სოფლის გლეხობა სცხოვრე-
ბენ სახელმწიფო მამულზედ: მამული
უჭირავთ უთანასწოროდ, ისე რომ
ვისაც მეტი ძალა და გავლენა აქვს,
იმას ხუთი საკომლო სახნავი მიწები
უჭირავს და ვისაც არა, არც ერთი
ჩარეკი სახნავი მიწა არა აქვს. ზოგს
იმდენი მამული აქვს რომ ხენასა და
გალეწვას ვერც კი ასდის და ზოგი
ისე არის დაჩაგრული, რომ კალო
არც კი აქვს და მოსავალი საიდან
ექნება...

წასულ წლის დამლევს ამ სოფელს
ეწვია მაზრის უფროსი, რომელმაც
დათვალიერა ამ სოფლის მდგომა-
რეობა და გზები; დაჩაგრულთ პირთა
მიმართეს თხოვნით ბ-ნს მაზრის უფ-
როსს, რათა ეშუამდგომლა, სადაც
ჯერ იყო, რომ თანასწორ გავყოთ
სახელმწიფო მამული ამ სოფლის გლე-
ხობისათვის; მ. უფ—სმა ეს თხოვნა

მიიღო განსაკუთრებულს ყურადღე-
ბაში, დაიძევა, რომ იგი აცნობებს
სახელმწიფო ქონებათა გამგებას და
იმედი აქვს რომ აუსრულდებათ სურ-
ვილი მართლაც ერთის კვირის გან-
მავლობაში გარდასცა კუთვნილებისა-
მებრ ეს საქმე ..

ბ-ნი მაზრის უფროსის რჩევით და
დარიგებით ამ სოფლის ყრილობამ
შეადგინა გარდაწყვეტილება სასწავ-
ლებლის გახსნისა; როგორც ისმის,
კიდევ დაუმტკიცებიათ ხსენებული
გარდაწყვეტილება და იმედი რომ ამ
მოკლე ხანში ამ სოფლის მცხოვრებ-
ნი მოესწრებიან სასწავლებელსა...

ამ სოფელში დღემდის ქურდობა
არა იყო-რა, მაგრამ, სამწუხაროდ,
რაც ახალი წესდება შემოვიდა და
ხევის-თავები ამოიჩიეს, მას ღღეს
აქეთ ქურდობაც შემოგვიჩია. მე ამი-
თი ის არ მინდა ვთქვა, რომ ხევის
თაობა ცუდი იყოს, მაგრამ იმისთანა
პირებმა იგდეს ხელში ეს თანამდებო-
ბა, რომ, გარჩევით ეპყრობიან მცხოვ-
რებთ; ვისთანაც პირადი მეგობრობა
და ნათესაობა აქვთ, იგი თითქმის სულ
არ გამოჰყავთ ყარაულში და ვინც
ისეც სილარბისაგან დაჩაგრულია,
იმას კვირაში ორჯელ ჰხვდება ჯერი
ყარაულობისა. ამის გამო ღამის ყა-
რაულები გულ-ნაკლულად არიან და
რიგინად ვერ ყარაულობენ სოფელს:
წარსულს თვეში გაუტენეს ღუქანი
ივგორ სუხივს და რაც კი ებადა,
სულ გაუზიდეს; დღემდის არც ქურ-
დი აღმოუჩენიათ და არც დანაკარგის
პატრონი დაუკმაყოფილებიათ, თანა-
ხმად თავიანთგან მიცემული ხელწე-
რილისა ბ. მაზრის უფროსისათვის.

წარსულს წლის დამლევს ამ სო-
ფელშიაც მოხდა ხელ-ახალი არჩევანი
მოსამართლე-მამასახლისისა; საზოგა-
დობამ თანადასწრებით პოლიციის
მოხელის თანაშემწის თავად ამირე-
ჯიბისა, ფიც ქვეშ და ერთხმად ამო-
ირჩია ამ სოფლის მამასახლისად ბ.
ზოგაძე, რომელიც რამოდენიმე წლის
წინად ასრულებდა ამ თანამდებობას
და რიგინი ბოლოც მოაყოლა: ამის
არჩევანზედ ხევის-თავებმა და ეხლან-
დელმა მოსამართლე-მამასახლისმა ჩა-
იღეს შური, და შეუდგენენ ხსენებულ
არჩევნის გაუქმებას. ამათ მოიმხრეს
ადგილობრივი მწერალი, შეადგინეს
საზოგადოების სახელით ყალბი თხოვ-
ნა ბ. მაზრის უფროსთან, მოაწერეს
ხელი, როგორც წერის უცოდინართა
მაგიერად, ისე წერის მცოდნეთა მა-
გიერადაც, დაასვეს ბეჭდები და წარა-
დგინეს მაზრის უფროსთან, ვი-
თომც შეცდომით მოსვლოდეთ მამა-
სახლისის არჩევა და სთხოვედნ ხელ-
ახალი არჩევანი დაენიშნათ?...

ამ ნაირს თხოვნაზედ ბ. მაზრის უფროსმა მოახდინა განკარგულება და მოსწერა პოლიტიკის მოხელეს, რათა შეემოწმებინა ხელის-მომწერთა გამოკითხვით. მა აი რა აღმოჩნდა: ადგილობრივმა მწერალმა უჩვენა რომ იმას მიეკრუნ ღამის რვა საათზედ მოსამართლე-მამასახლისი, წაიყვანეს კომლი-კომლით და ძალ-დატანებით ეუბნებოდნენ ხელის-მოწერას; თუმცა რამდენიმემ მითხრა მოაწერე ხელიო და ბევრმა უარიც გამოაცხადა, მაგრამ მოსამართლე-მამასახლისმა ძალით ხელი მომაწერინეს, როგორც უარის მთქმელთა მაგიერად, ისე იმათ მაგიერად, ვინც სურვილი გამოაცხადა. აგრეთვე ვინც წერა არ იცოდა, იმათი სახელი და გვარიც მე მოვაწერეო. ნაკითხ პირთ ერთხმად უჩვენეს ზოგმა ის, რომ ჩვენ მაგ დროს აქ არა ეყოფილვართო და ზოგმა არც კი გაგვიგიაო და ზოგმა უარი ეუთხარით ხელის-მოწერაზედაო და ჩვენდა უნებურად ხელი მოუწერიათო; ზოგთა თხოვნა მიართვეს, რომ ჩვენ რადგანაც წერა ვიცოდით და ჩვენს მაგიერად ხელი მოუწერათ, გთხოვთ დამნაშავე პასუხისგებაში მისცეთო. აი სოფლის მოხელენი და მწერალი რას ჩადიან და ამათგან გარდაწყვეტილი სამართალი რამოდენად ქეშმა-რიტი იქნება.

დ. ზ.

უცხოეთი

◆◆ ავსტრიის გაზეთები აღტაცებულნი არიან პრემიერში იმპერატორთა შეხვედრის გამო. რუსეთი უერთდება საშუალო ევროპის კავშირსაო — იწერებინან ეს გაზეთები და თან ამ შეხვედრის გამო მოვლიან ახალის პოლიტიკური დამოკიდებულების დამყარებას, რომელიც მფარველად აღმოუჩნდება ვერ მოსალეთს და შემდეგ სრულიად მეტროპოლისს, რაკი იგი (დამოკიდებულება) მოსპობს რუს ინგლისის შორის განხეთქილებას. ღიდს ბრიტანიას სწავლიან კეთილი განწყობილება ჰქონდეს ბერმანისა და ავსტრია-ვენგრისთანაო; რუსეთსაც მეგობრული დამოკიდებულება აქვს ხსენებულს სახელმწიფოებთან და მაშასადამე ეს სახელმწიფოები უნდა ეცადნენ — განხეთქილება არა მოხდეს-რა ინგლისისა და რუსეთის შორის, რომელნიც ერთ-გვარის გრძობით უერთდებიან მათაო.

◆◆ მართი ინგლისური გაზეთი იწერება, რომ რუსეთმა პორიის გარეშე საქმეთა მინისტრის შემწევობით შექრა პირობა, რომლის ძალითაც პორიისა მზად არის დაექვემდებაროს რუსეთის მფარველობასაო. ამის გამო კორიის განდარბების უფროსებად დანიშნულნი არიან რუსის აფიცრები. მლადი-ვისტოკში გამწესებული იქნება კორიის ავენტო. მდ. თუნამზე, რომელიც პორიისა ჰყოფს აღმოსავლეთ სიმბირისაგან, იწარმოებენ ვაჭრობა

რუსეთის განსაკუთრებულის მხედველობის ქვეშე. მლადივისტოკისა და პორიის ზოგიერთ ადგილებს შორის გაყვანილ იქნება ტელეგრაფის მათეული. პორიისათან ამ პირობის შეცვრით რუსეთი მაგიერს უხდის ინგლისის ნათე-საყუდარის ჰამილტონის დაქვრისათვისო. პორიის გარეშე საქმეთა მინისტრმა, მელენდორფმა, თ. ბის-მარკის მოთხოვნით შემკრაო ესეთი პირობა რუსეთთან. ნემეტურს გაზეთს «Berl. Tagebl.»-ს მოჰყავს ეს ამბავი და თან დასძენს, რომ ჩვენის აზრით ამ სენსაციურ ცნობას დაბე-ჯითება სჭირიაო. ჩვენ გვარწმუნებენო ვითომ თ. ბისმარკის ჩაგონებით შეეკრას ჩვენს თანა-მემამულეს, მე-ლენდორფს, ესეთი პირობა რუსეთთან; ეს ამბავი, ჩვენის აზრით, თანაბრია იმისი, ვითომ, ერთს დროს თ. ბის-მარკსვე ერჩიოს. ბლადსტონისათვის მევიპტის აღება. საკვირველი ის არის, რომ ინგლისელებისაგან ჰამილტონის დასაკუთრებაზედ გადაწყვეტილად არა-ფერს ამბობს რუსის მმართველობა: ვერ არკვევს ამ ფაქტს, მაგრამ ვერც ამტკიცებს. ამ გვარი წაყრუება საქმისა გვაფიქრებინებს ჩვენ, რომ რუსები, თურმე, კარგა ხანია ემზადებიან მა-გიერი გადაუხადონ ინგლისელებს ჰამილტონის დაქვრისათვისო. მაგრამ ჩვენ მაინც კიდევ ვერ დაგვიჯერებია, რომ ესეთი საყურადღებო მოვლენა მართო ერთი უბრალო გაზეთის სა-შუალებით მოეფინოს ქვეყნიერებას. (ინგლისური გაზეთი, რომელშიაც ეს ამბავია მოყვანილი, არ არის იმდენად გავლენიანი ორგანი).

◆◆ ხშირად, რაც არ გინდა გამოაშ-კარავო სასიამოვნოდ არა გრჩება, როცა სხვანი აცხადებენ. მსე მოსდით ინგლი-სურ გაზეთებს, რომელნიც ერთი ყუ-რილამ მეორეში უშვებენ ფრანცუზულ გაზ. «Républ. Fran.»-საგან დაბეჭ-დილ ცნობას ინგლის-რუს-ჩინეთის კავ-შირის თაობაზედ. ჩვენმა შენიშნვამ, — სწერს ხსენებული ფრანც. გაზეთი, — დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ევრო-პის დიპლომატიანზე, თუმცა, როგორც მოსალოდნელი იყო, ყველამ ეჭვის თვლით შეხედეს მას, არ დაერწმუნენ. მხოლოდ ჩვენ კვლავ განვაგრძობთ, რომ ეს ამბავი მოგვივიდა ისეთის პირისაგან, რომელსაც ნამდვილი, პირ-და-პირი ცნობები უჭირავს ხელში. ამის შემდეგნი მოვლენანი გვიჩვენებენ, რომ ჩვენ მართალი ვიკავით და იმ პირთ, რომელთაც უფრო შეეებათ ეს საქმე, კარგი იქნება დროზედ იხელმძღვანელონ ჩვენის ცნობებით. ზოგიერთა პირებმა, რომ შეეცაოთ სიმტკიცე ჩვენის ცნობებისა, მიმარ-თეს ჩინეთის დიპლომატებს პარიჟ-სა და ლონდონში. ახირებულნი! რომელი დიპლომატი გაახმაურებს პირობას, თუ კი ეს გახმაურება ენებას მისცემს პირობით შეკრულ მხარეთ. ჩინეთის წარმომადგენელ-მა პარიჟში უარჰყო ეს ცნობები; მარკიზ ძენგმა-კი დაბეჭდა თავის ორ-განოში «Pall-Mall-Gazette»-ში შემ-დეგი შენიშნვა: ჩვენ გავიგონეთ, რომ

«République France»-საგან გავრცე-ლებული ხმა ინგლის-ჩინეთის კავშირის თაობაზედ მოკლებულია სრულიად ყოიელს სინამდვილეს. ჩინეთისათვის არ არის საჭირო ესეთი პირობის შეკვრა, რადგან მას მეგობრული დამოკიდებულება აქვს რუსეთთან. ხოლო რუს-ჩინეთის საზღვრებზე დღეს ხდება ისეთი შემთხვევები, რამელ-ნიც მეტს სიუზიზღეს ითხოვენ იმავე სახელმწიფოთაგან, მეტს თვალ-ყურის დევნებას იმ მოხელეებზე — რომელნიც გამწესებულნი არიან ამ სახელმწიფოთა შუა სამზღვრებზე წი-ნალმდევს შემთხვევაში, ინეთი ან თვით იძულებული იქნება დაუკავშირ-დეს რომელსამე მეზობელ სახელმწი-ფოს აზიისას, და ან მიიღოს ამათგან წარმოდგენილი პირობა დაკავშირება-ზე. მსე იგი, — დასენს ფრანცუზული გაზეთი, — მარკიზ ძენგი გვითითებს მომავალზე და იმუქრება მით, რაც დღეს მოხდა კიდევ. ბარემ — რაკი შევეხეთ ჩვენს წინანდელს შენიშნვას, — განაგრძობს ფრანც. გაზ., — ნებას მიე-ცემთ ჩვენს თავს დავეკითხოთ გაზ. Uni-vers-ს სად და როდის ესთქვით ჩვენ ინგლისისა და მოსალეთის შორის კავშირზე. ჩვენ ეს არ გვითქვამს; ესთქვით მხოლოდ, რომ ჩინეთის გადმობირების შემდეგ, თუ მოსალეთ-საც მიიხზრობს ინგლისი — ომი იმ წამსვე ასტყდება-თქო. თუ ეს მოხ-დება-თქო — ვამბობდით, მაგრამ დარ-წმუნებულნი ვართ, რომ საქმე ასე არ წავა.

მეორის მშვიდობიანობა ამ ქამად დროუმონდ ვოლფის მისიაზეა დამოკი-დებული.

ბიბლიოგრაფიული წიგნილი.

«ევგენი ევგენი ზანზალოვი». კომ. ოთხს. მოქმედ. ონზ. გრ. იაკობისა.
«ბედნიერება უბედურობისაგან». კომ. 4 მოქმედ. მისივე.

ბოლიშს ვიხდით მკითხველებთან, რომ აქამდის ამ დრამატიულს ნაწარ-მოებებზე არაფერი ესთქვით. ჩვენ სხვას ველოდით და სხვისთვის გვი-დოდა ამათი გარჩევა დაგვეთმო, მაგ-რამ, ეხლა, რაკი არავინ ხმა არ ამოი-ლო, ისევე ჩვენ გვიდა დავანახვით მკითხველებს ხსენებული პიესების ღირ-სება

ბ. ბრ. იაკობიძე ეხლა ხანს გამო-ვიდა სალიტერატურო ასპარეზზედ და გამოსვლისათანავე პიესების წერა დაიწ-ყო. მს ორი პიესა, რომელთ სახე-ლებიც სათაურში გვაქვს აღმოწერი-ლი, გამოცემულია ბ. ზაქ. შიჭინა-ძისაგან, რომელსაც მით „სამშობლო მწერლობის აღმშენებელი“ და „მშობლიუ-რის ენის სამსახური“ სურს.

მკითხველმა, იქნება, მოინდომოს შეტყობა, თუ ისეთი რა ნაწარმოებია ბ. ბრ. იაკობიძის თხზულება, ისეთი რა ქმნილებაა, რომ მას „სამშობლო მწერლობის აღმშენებელი“ შეეძლოს.

ჩვენ გავაცნობთ მკითხველებს ამ ნაწარმოებებს და შემდეგ ისე დააფა-

სონ გამოცემლის სამსახური სამ-შობლო მწერლობის წიგნილი. პირველი კომედიო — „მწიფე ყურბან“, 3-ქმ გამოცემა, განლავეთ ევგენი ევგენი ზანზალოვი; ეს პიესა თავისი უარაობით მკითხველს აკვირ-ვებს. მს არის ოთხ-მოქმედებიანი კო-მედია, რომლის პირველი მოქმედე-ბა მხოლოდ სიტყვა «კოვზით» და კოვზზე მსჯელობით არის სავეს და რომლის ფრაზების ერთად შეერთე-ბით ისეთი უაზრო და უთავბოლო რატრატი გამოდის, რომ სრული გან-მანორციელებელია ქართულის ანდაზი-სა: «ბერუსს გაუმარჯოს და აკურას მივიღივარო!»

მეორე კომედია «ბედნიერება უბე-დურობისაგან» პირველზე უფრო მალ-ლა სდგას, როგორც მოქმედთა პირ-თა რიგის და დალაგებულის მსჯე-ლობით, ისე აზროვნობით; ესეც მხოლოდ იმიტომ, რომ ორიგინალუ-რი კი არა — გადმოკეთებულია; გად-მოკეთებულია ქართულისავე პიესიდ გან, სახელდობრ — «პეპოდან», რომელიც ჩვენს ნიჭიერს მწერალს ბ. სუნდუკიანს ეკუთვნის. ჩვენ ბ. ავ-ტორს — როგორც თითონ ირქმევს, უნდა მოვახსენოთ, რომ სხვის კო-მედიის გადმოკეთება და ზედ თავის გვარის გამოცხადება, როგორც ავ-ტორისა, ლიტერატურულად სხვის კუთვნილების მითვისება ჰქვიან და თავის-მოყვარე კაცმა არ უნდა იკად-როს. მეორეც ესა, სხვის თხზულებას, დრამატიულს მწერლობას ეკუთვნის იგი, თუ სხვა რომელიმეს, რომ გად-მოაკეთებენ, გადმოკეთებენ ხოლმე იმიტომ, რომ უფრო გაამშენიერონ, უფრო გააკეთონ, როგორც იდვის გაფართოვებით, ისე ენის და აზრების გამმშენიერებით და არა უფრო გაა-ფუჭონ, დაამახინჯონ. ახალ ავ-ტორს-კი (?) სწორედ გაუფუჭებია, სადაგლად დაუმახინჯებია მშენიერი პიესა «პეპო».

მისაც არა გჯერათ, წაიკითხეთ ორი-ვე კომედიები და შეადარეთ: ნინო ბურნაძისა — შუმანას, ძაკახანოვი — ზანზალოვის, ბაბანაშვილი — ბეურქას და სხვანი.

აქ იგივე იდეა, იგივე მომქმენი პირნი, თუმცა სხვა სახელებით, იგივე მონოლოგები და დიალოგები სხვა სიტყვებით შედგენილნი.

შეადარეთ და დარწმუნდებით, რომ «ბედნიერება უბედურობისაგან» და «პეპო» ერთი და იგივე პიესაა, მხო-ლოდ იმ განსხვავებით, რომ პირვე-ლი მეორეს ისე ვერ შეედრება, რო-გორც თვით ბრ. იაკობიძე შექს-პირს.

მთელს ბრ. იაკობიძის პიესაში ერთი ნამდვილი ტიპი არ არის, მა-შინ როდესაც ბ. სუნდუკიანის მომქ-მენი პირნი სულ ტიპები არიან ჩვე-ნის ცხოვრებიდანვე აღებულინი, რომ-ლისთანებასაც ყოველს ნაბიჯზედ შეხე-დებით. აიღეთ თუნდა ბეურქა, შუ-მანა, ძაკულა, ზანზალოვი და თვით პეპოც.

ბ. ავტორს ბოლო გადაუსხვაფე-რებია და ამით თავის უმართებულო

მოქმედების დაფარვა ნდომებია; მაგრამ ვერც ეს ნახტომი მოსვლია გეორგიანი, ამითაც დედანი დაუმახინჯებია. იმისნი „უბედურნი“ მომქმედნი პირნი სარგებლობენ მდიდარი კაცის, რომელიც მათ სახლს—თავ-მესაფარს ართმევდა, უკიდურესის მდგომარეობით და ვაჭრულადა სტარცუავენ, რითიც მდიდრდებიან და ბედნიერდებიან, ავტორის აზრით. მაშინ, როდესაც სუნდუკიანის პეპო ამ ნაირს ბედნიერებას უარ-ჰყოფს, ამ გვარს სიმდიდრეს მოპარვად, უბატონობადა სახავს და ციხეში ჯდომას ირჩევს, ოღონდ სხვა გამოიხსნას იმ წურბელა კაცისაგან.

აი იმისი უკანასკნელი სიტყვები:

„მოქმედება მესამე, სახასავი იე. პეპო.

მივეცი, რომ ამის მასხარა გავსდე?... რომ საღსში მტყუანი შე დაუწიე და მართალი ესა?... ცხის მამია თავი გავიყიდა?... ანა, დედა, ეს ბართი დქრთს სმელად ჩამოუგზავნა ჩემთვის!.. ამითი უნდა მოგსჭრა ამის თავი!.. რამდენი შენისთანება იქნას ამის სელში, რამდენი (დასჯად ანიშებს) ამისთანება სტირიანს, რამდენი ჩემისთანება იტანჯებას!.. ერთმა მამინდ ან მკატუბისხოს ქვეყნას ამის საქციელი?! ერთად ანის ან მქვეყნოს, (არუთინასაკენ სელს იშუქრს) რომ ეს გაცი, რომელსაც უკვლანი თავს უგმრენ, უკვლანი ეფერებას და მატოვსა სტექს, ეს ის გაცი, რომლისათვისაც არაფერი წმინდა არა არის რა ქვეყანასედ და სსე.

აბა ეხლა თქვენა ბრძანეთ ბ. ავტორო, რომელში უჯრო მაღალი იდეა, კეთილშობილური აზრია გატარებული „პეპოში“, თუ „ბედნიერება უბედურობისაგან ში“, რომელი უჯრო მაღლა სდგას თავის ტენდენციით: პირველი, თუ მეორე?

ჩვენ ეხლა არ ამოვიღებდით ხმას, მაგრამ რაკი ბრ. იაკობიძეს პირველსა და მეორე კომედიანზედ კრიტიკამ ხმა არ ამოიღო, ავტორი უფრო წათამადა, მესამეც დასწერა და ეს ხმის ამოუღებლობა თავის სასარგებლოდ ჩასთვალა; მაგრამ ჩვენ უნდა გავუფანტოთ ეს ოცნება და მოვახსენოთ, რომ თუ კრიტიკამ ხმა არ ამოიღო, ხმა არ ამოიღო იმიტომ, რომ მისი კომედიები ყოველს კრიტიკანზედ დაბლა დგანან.

და აი ამ გვარის, როგორც მკითხველიცა ხედავს, ყოვლად უვარგისის კომედიების ბეჭდვით ბ. შიქინაძეს სამშობლო მწერლობის აღორძინება სწადიან. ჩვენ კი გვგონია, რომ ამ გვარი პიესების გამოცემა და ხალხში გავრცელება სამშობლო მწერლობას უფრო ძირს დასცემს, ვიდრე ააღორძინებს.

ბ. შიქინაძე დარბაისლურის კილოთი უსაყვედურებს ქართულს დრამატიულს დასს, რომ წელიწადში ერთი სამი-ოთხი პიესა დაბეჭდონ მაინც არის თავის ხარჯითაო. უსაყვედურებს ქართულს დრამატიულს დასს, რომელიც ცალ-ფენზედა სდგას და ასკინკლით ატარებს მთელს სეზონებს,— რომელსაც იმდენი შემოსავალი არა

აქვს, რომ მოთამაშებებს ჯამაგირი დაურიგოს, რის გამოც თეატრში არაინი შედის და დრამატიული დასი, დრამატიული კი არა—ჯამბაზური ხდება.

ბ. გამომცემელი ბძანებს: „გასუშტიც მოგვითხრობს, ანა იქნების ისეთი რამ წიგნი, რომლისგანაც რამე სარგებლობა არ მოიპოვებოდესო, ამის გარდა, თუ უვარგისი არ იქნეს, გარგასაც კვლავ გავარჩევთა.“

ტყუილად გამოძენეთ მახუშტი და უბრალოდ ჩაურთეთ იმისი ნათქვამი თქვენს ორიოდ შენიშვნაში, ბ. შიქინაძე. რომ შემოხსენებული კომედიები, ისეთი წიგნებია, რომელნიც თუ ზარალს არა, სარგებლობას არ მოუტანენ მკითხველს, ამაში ეჭვი არ არის და რაც შეეხება იმას, რომ თუ უვარგისი არ იყოს, კარგსაც ვეღარ გავარჩევთო, ამისთანა ლოგიკასთან გამობაასება სირცხვილია.

გამომცემელი განაგრძობს: „...სმირად უმაჩსოდ, გაურჩევლად და გაუგებლად ეხსიერებას ხოლმე ზოგიერთს ახალ-გაზდა მწერალს და სემუდამოდ უსწობენ ყოველხანის ლტოლვილებს და წინ-მსვლელობას.“ „...სმირად მომსდარა, რომ რომელიმე ახალ-გაზდა გაცს პირველი ნაბიჯი რამე მდარე ოსსუდე-ბიჯი გადაეგვას წინ, მაგრამ ნაცვლად შემდეგ მას მძლეობა საკმარისი და შესანიშნავი(?)“.

რომ უმაჩსოდ, გაურჩევლად და გაუგებლად არა ეციტხათ ბრ. იაკობიძეს ამაში ყველა დარწმუნდება, ვინც-კი ოდნავაც არის თვალს გადაავლებს ამ წერილს და თუ ამით ჩვენ მას მისს ლტოლვილებას—მშენიერი პიესების დამახინჯებისას მოეუსპობთ, დიდი მონარული ვიქნებით, როგორც ჩვენ, აგრეთვე ისინიც, დარწმუნებულნი ვართ, რომელთაც-კი მაგის კომედიები წაუკითხავთ. რაც შეეხება პირველ ნაბიჯს ბრ. იაკობიძისას, რომელიც კომედიებს ლავაშებით აცხობს,—გვითხარით, ბ. გამომცემლო, რომელსა სთვლით იმის პირველ ნაბიჯად: „ბედი მართალთას“, „მეგენი მეგენიჩ ზანზალოეს“, თუ „ბედნიერება უბედურებისაგან“-ს?

თავის ორიოდ შენიშვნას ამ სიტყვებით აბოლოცებს ბ. შიქინაძე: „დღეს ოდესდ კი წიგნების ბეჭდვა გამრავლდეს, ოდესდ-კი ამის სიყვარული აღორძინდეს ქართველებში, ოდესდ-კი რამდენიმე მწერალთა და გამოცემელების აივსოს, ოდესდ-კი ამისი ლტოლვილებას სწრაფლად წავიდეს და სხვა წერილმან ხაკელ მხარეებთან ჩვენ საქმე არა გვაქვს, რადგანაც ჩვენი მიზანი და ჰაზრი ისეთი წმინდა რამ არის, რომ ჩვენთვის სულ ერთია, აკობიძის პიესა იქნება, თუ ზოგიერთი სასკლანის კაცისა და სსე.“

შემერთმა ნუ ჰქნას, ბ. შიქინაძე, რომ მაგისთანა წიგნების ბეჭდვა გამრავლდეს, რადგანაც თუ არ შეაფულებს—არ შეაყვარებს ქართველებს წიგნებს; შემერთმა ნუ ჰქნას, რომ მაგ გვარის მწერლებათ და გამომცემლებით ავიყენეთ, როგორსაც თქვენა ნატრობთ!

რას ეძახით სსეა წერილის ნაკლებ მხარეებს? აგვიხსენით. ნუ თუ თქვენთვის სხვის აზრის მოპარვა და პიესის დამახინჯება წერილის ნაკლებია?

ბოლოს თვით ბ. იაკობიძეს მხოლოდ ერთს რჩევას მივცემთ: თავი დაანებოს პიესების წერას, და თავისუფალი დრო, რომელსაც მათ ანდომებდა, უფრო სხვა სასარგებლო საქმეს მოახმაროს!

სუფელარი.

ავისტოს 8.

მათლამი—ჰინც იპისრუბს.

რადგანაც მეც მოვიწოდებ ხალხური ნაწარმოების მოპოვება, ამისათვისა ვთხოვ ყველას, ვინც-კი მოისურვებს ქვემოთ მოყვანილ პირობების თანახმად, შეაგროვოს და გამოგიგზავნოს ხალხური ლოცვები, ლეგენდები, ლექსები, ზღაპრები, წერილ-წერილი ამბები, ტმაწვილების დროს გატარებანი (სათამაშოები), ანდაზები, გამოცანები, შელოცვები, და ცრუმორწმუნებანი და სხვა. მეც მოვიწოდებ, მეთქი, ვამბობ იმისათვის, რომ მე პირველი არა ვარ ამ საქმეში; ჩვენში ბევრმა დააპირა ესევე საქმე, ბევრმა ბევრჯელაც გამოაცხადა, მაგრამ ბევრი რამ გავარჩევს თუ არა, მაგისი-კი რა მოგახსენოთ. არა ერთხელ და ორჯელ გამოუტყებია ბ პეტრე იოსების-ძე შიქინაძის ესევე თხოვნა; იგი დიდი ხანია შესდგომია ამ საქმეს და ცოტაოდენი რამ კიდევ შეუკრებია, როგორც დავგიმტკიცა ორი (თუ არა ესცდები) მეტად სიფრთხანა წიგნაკის გამოცემითა. ჩვენ არა გვჯერა, რომ ამაზედ მეტი არა ჰქონდეს შეკრებილი პატივცემულ პ. ი. შიქინაძის, მაგრამ ისეთ ცხრა-კლიტულში აქვს მომწყვდელი, რომ იმათ შესახებ არც მე, არც თქვენ და არც არაინი სხვამ მთელი დედამიწის ზურგზე, გარდა თვით იმათის პატრონისა, არა უწყისრა. ეს სურვილი გამოაცხადა აგრეთვე „წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“, რომელმაც ამ სამი-ოთხი წლის წინად უკვე ბლომად დაარიგა დარიგებანი მასზე, თუ როგორ უნდა ყოფილიყო მოგროვილი ყოველ გვარი გონებითი ნაწარმოები. ამასვე შეუდგა ყოვლად პატივცემული დიდი პოეტი თ. ა. რ წერეთელი, მაგრამ გახდენ რასმე თუ არა, ან ბ. აკაკი და ან წ. კ. გ. საზოგადოება, არა ვიცი; უფრო მგონია რომ ვერას გახდენ. ღღეს მეც, თქვენი უმორჩილესი, ამასვე შევეუდკვი; არა იმისთვის, რომ სკივრებსა და კიდობნებში წკობით ამოვალბო და ობი მოვიკიდო.

ღღეს ჩვენც ვაცხადებთ, ამ სურვილს, მაგრამ იგი, ვგონებ, ბევრით განსხვავდება სხვების სურვილისაგან, როგორც უკვე სცნობთ შემდეგის პირობებიდან

პირობანი ჩვენსა და ხალხურნი ნაწარმოებთა შეკრებთა შორის

§ 1

ითოთა ლოცვაში მიიღებენ არა ნაკლებ 10 შაურისას, ვიდრე ორ მა-

ნათამდე; ფასი დამოკიდებული იქნება თვით ლოცვის ღირებზე მხოლოდ თუ ლოცვა გამოვრებულია; მოდგა, ე. ი თუ იგი ადრე სხვისაგან არის წარმოდგენილი, მაგრამ მაინც-კი ცოტა რამ განსხვავება ექმნება, მიიღებენ მხოლოდ ერთ აბაზს.

§ 2

ითოთა ლეგენდაში მიიღებენ 6 შაურიდამ, ვიდრე 1 მანათამდე; თუ გამეორებული გამოდგა მიიღებენ 2 შაურს.

§ 3

ითოთა ლექსში მიიღებენ 2 შაურიდამ დაწყებული, ვიდრე 1 მანათამდე; ფასი დამოკიდებული იქნება ლექსის სიდიდ-პატარავესა და სიყვარვეზე; გამეორებულში მიიღებენ 1 შაურს.

§ 4

წერილ-წერილი არა-ისტორიული ამბები. ითოთაში მიიღებენ 1 აბაზი. დამ, ვიდრე 1 1/2 მანათამდე. ხოლო გამეორებულში—2 შაურს.

§ 5

შმაწვილების სხვა-და-სხვა გვარ დროს გატარებთა (სათამაშოები) აღწერა. ითოთაში მიიღებენ 1 აბაზი. დამ, ვიდრე 6 აბაზამდე. გამეორებულში 1 შაურს.

§ 6

ითოთა ზღაპარში მიიღებენ 3 შაურიდამ, ვიდრე 4 აბაზამდე გამეორებულში—1 შაურს.

§ 7

სამს ანდაზაში ანუ სამს გამოცანაში—1 შაურიდამ 3 შაურამდე. გამეორებულში—არაფერს.

§ 8

ითოთა შელოცვაში—2 შაურიდამ 10 შაურამდე. გამეორებულში—1 შაურს.

§ 9

სამ ცრუმორწმუნებაში—1 შაურიდამ 6 შაურამდე გამეორებულში—არაფერს.

§ 10

ყოველივე ესენი უნდა გამოიგზავნებოდეს „დროების“ რედაქციაში, სადაც თვით რედაქტორის ბ. ი. შ. მაჩაბლის თანადასწრებით იქნებინ განსჯულნი, შემოწმებულნი და დაფასებულნი.

§ 11

აღნიშნული უნდა იყოს, თუ სადა აქეთ გავგონილი; ამასთანავე ზოგიერთი უფრო საძნელო გასაგები სიტყვები უნდა იყოს ახსნილი.

§ 12

თუ რომელიმე ამ გამოგზავნილ ნაწარმოებთაგანი იქნებინ ან სრულიად უმნიშვნელო, ან ერთიად მეორეხედ ვადამხტარი და მხოლოდ ნაწ-

ყვეტი (უთაბოლო), ანგარიში არ ჩაიდება.

§ 13

მოწერილი უნდა იყოს სრული აღრესი, რომ ფულის გაგზავნა გასაქირი არ გახდეს.

მინც მოსურვებს უფასოდ გამოგზავნას, რასაკვირველია, შეუძლიანთ, და გამოუთქმელ მადლობასაც მიიღებენ ჩვენგან, მხოლოდ ზედ უნდა უთუოდ წარწერილი ჰქონდეს, თუ უფასოა, რომ ფული აღარ გავგზავნოთ. პოველივე სხვა შემთხვევაში ორი კვირის განმავლობაში შემდეგ მიღებისა ფული ყველას გავგზავნება.

§ 14

სალკე გამოცხადებული იქნება, თუ როდის მოეცაობთ ამ ნაწარმოებთა მიღებას.

ვლად. აღნაშკაძე.

ტელეგრაფები

„სრულიყოთის სააგენტოსი“

ავგისტოს 10-ს.

კრამზინარი. ანტენდარტის ჰაიმან-მა მიაწვია დღეს საღამოს ჩაიხვად

ბანსხალბანი

სენაპის სათავად-აზნაურის სასწავლებლის ინსპექტორი ახსნაღვას

მუთისის გუბერნიის და განსაკუთრებით მეგრელის თავად-აზნაურთა საცნობლად; რომ 1885 წ. ენკენის-თვისათვის I განყოფილებაში ოც-დაცამეტი ვაქანსია იქნება, II მეორეში—ორი (2), III მესამეში—(4) ოთხი და IV მეოთხეში (15) თუთხმეტი. პირველ განყოფილებაში შემსვლელთ ეგზამენი არ მოეთხოვებათ, მეორის, მესამისა და მეოთხისათვის განყოფილებათა შესაფერი ეგზამენი უნდა დაიკირონ; თხოვნა უნდა შემოიტანონ ინს-

და სრულდის სანსხვად ხელგონების წარმომადგენელნი და წარმომადგენელნი აკტრის და უცხო-ქვეყნების ურნალ-გაზრებისა. ჯერ აქ მინისტრთა და სახელგონ ზანთა რიცხვი 38-ია. ქალაქი სადღესასწაულოდ არის განმზადებული. ყველას ურადლებას მიიქცევენ სოფელელები მშენებელს ნაგონალურს ტანისამოსში; რადგანაც აგსტრის იმპერატორი და იმპერატრიცა მამბან ჯებანს, წესიერებას ვეტიკანება და კორპორაციები აიგევენ. მოსწავლე ახალგაზრდას გზის აქეთ იქით აქნება გამწვანებული. ვოგზალსედა მათ დიდებულებათ მინარტიკევენ თაგულს ქალაქის მხრივ და სსსხვებში თაიგულსავე სოფლის სსს. გადაცემათა მხრივ.

ბერლინი. გრაფს ბლანდერბურგს მანდრა მესაქამოს რუსეთის ხელმწიფე იმპერატორს ობერბერგში გერმანიის იმპერატორის სახელით.

ლონდონი. გაზეთის «Morning Post»-ის სიტყვით ბრიტანიის კაბინეტმა მიიღო ახალი წინადადება რუსეთისა, რომლის ძალითაც ზუღფაკარის ხეობა რჩება ავღანისტანს და სძოვრები რუსეთს.

პეტროპოლის სახელზე ავგისტოს 20-დგან 29-მდის და ამასთანავე წარმოადგინონ წლოვანების და აზნაურობის მოწმობანი. თუ აზნაურობის მოწმობანი არ ექნებათ, ბანკის მოწმობა მინც უნდა იქონიონ, რომ ყმაწვილის მშობელი (დედა ან მამა) ბანკის დამფუძნებელთა შორის ითვლება. სწავლა პირველ ენკენისთვის დაიწყება, თუ მანამდის სახლი მოსრულდა.

ამა მდგომარე წლის საბანკო კრების გარდაწყვეტილებისამებრ, სასწავლებელი მთელი გუბერნიის თავად-აზნაურთათვის არის დაფუძნებული და ვისთვისაც სამხროა, ყველას უფლება აქვს ამ სასწავლებელში შევილი შემოიყვანოს. (10-5)

თბილისის თავად-აზნაურთ სახდგილ-მამულთ ბანკის გამგეობა აძით აცხადებს, რომ ბანკის წესდების მე 21 § ძალით ამა 1885 წლის ენკენისთვის 4 საჯაროდ გაისყიდება ქვემო ჩამოთვლილი ქალაქისა და სოფლის მამულები, რომელნიც ბანკს დარჩნენ.

ა. ქალაქის მამულები

ბერძენიკისა, ძოლვესკის ასესორის ქვრივის დარია გიორგის ასულისა, ორ სართულიანი ქვითკირის სახლი, ადგილი ზომით 110 ოთხ-კუთხი საქ, 7 ობილისს, 1 განყ. 1 ნაწ., მოსკოვის ქუჩის ზემოდ: პირველი სართული 6 ოთახია ორის სამზარეულოთი, მეორე სართული 5 ოთახი ორი სამზარეულოთი; ორი სარდაფი, ერთი ხის სარაია; სახლს ერთი მისავალი კარები აქვს, ეზო შემორტყმულია ფიტრულით,—თავნი ვალი 6,651 მან. 41 კაპ., შემოსატანი 353 მან., 44 კ.—სულ 7004 მან 85 კ.—ვაჭრობა დაიწყება 7004 მან. 85 კაპ.—დამ

ბარათაშვილისა, თ-დის ნიკოლოზ გრიგოლის ძის. ორი თათო სართულიანი ხის სახლი, ადგილი ზომით 1382 ოთხ-კუთხი საქ., ქ. თბილისს, მე 6 მორონცოვის განყოფ; 1 ნაწილ. ძველი დამოყენის მახლობლად. პირველი სახლი შეადგენს სამს ღუქანს, მეორე კი 11 ოთახს ორის სამზარეულოთი, ქვითკირის თავლით და სარდაფით, ეზო შემორტყმულია ქვითკირის გაღაენით,—თავნი ვალი 8,399 მან. 77 კ. შემოსატანი 439 მან. 30 კ.—სულ 8,839 მან. 70 კ. ვაჭრობა დაიწყება 8,839 მან 70 კ-დამ.

აღლაკისა, ლუბერ. სეკრეტრის მეუღლის ოღლა თეოდორეს ასულისა. ორ სართულიანი ქვითკირის სახლი და ორი ორ სართულიანი ფლიგელი, 114 ოთხ-კუთხიანი საქენი მიწით. ქ. თბილისს 1 განყ. 1 ნაწ., ქალაქის ქუჩაზე; პირველი სართული 7 ოთახია ორი სამზარეულოთი, მეორე სართული 12 ოთახი. ორი სარდაფი. სახლს აქვს ორი მისავალი. თავნი ვალი 16,628 მან. 53 კ., შემოსატანი 868 მან 60 კ. სულ 17,497 მან. 13 კ. ვაჭრობა დაიწყება 17,497 მან 13 კ.

კომაროვიკისა, გიორგი და დავით ალექსანდრეს ძეთა. ორ სართულიანი ქვითკირის სახლი, 217 ოთხ კუთხიანი საქენი მიწით, ქ. თბილისს 1 განყ. 3 ნაწ. ვანქის ვიწრო ქუჩაზე; პირველი სართული 11 ოთახია ორი სამზარეულოთი, მეორე სართული 11 ოთახივე, ორი სამზარეულოთი და 4 ოთახიანი მეზონინით, სახლს აქვს ორი მისავალი და შემორტყმულია ფიტრულით. თავნი ვალი 18,845 მანეთი 66 კ. შემოსატანი 983 მან. 8 კ.—სულ 19,828 მან. 74 კ. ვაჭრობა დაიწყება 19,828 მან. 74 კ.

მალაოვისა, კოლეფ. რეგისტრატ. მეუღლის მარიამ დიმიტრის ასულისა. ოთხი ქვითკირის სახლი: სამი ორ სართულიანი ერთი ფლიგელით და ერთი ერთ-სართულიანი, მიწა ზომით 958 ოთხ-კუთხ. საქ ქ. თბილისის 1 განყ. 6 ნაწ., ტამოყნის ქუჩაზე. თავნი ვალი 43,873 მან. 1 კ. შემოსატანი 2,299 მან. 60 კ. სულ 46,172 მან. 61 კ. ვაჭრობა დაიწყება 46,172 მან. 61 კ.

ჩიგანისა, კოლეფ. სეკრეტრის ალექსანდრე სტეფანეს ძისა საბალე ადგილი ზომით 5600 ოთხ-კუთხ. საქ ქ. თბილისის 1 განყ. 9 ნაწ № 677, ტამოყნის ქუჩის ქვემო. თავნი ვალი 3,117 მან. 44 კ. შემოსატანი 172 მან. 18 კ. სულ 3,289 მან. 62 კ. ვაჭრობა დაიწყება 3,289 მან. 62 კ.

თუმანოვისა, ალექსანდრეოლის მცხოვრების სიმონ თომას ძისა. ერთ სართულიანი ქვითკირის სახლი, სართულიანი ფლიგელი ხეხილიანი ბალი და აუზი, მიწა ზომით 241 ოთხ-კუთხ. საქ ქ. ალექსანდრეოლის 7 ნაწილში, გუმბრინის ქუჩაზე; სახლი და ფლიგელი 7 ოთახია ორი სამზარეულოთი და საკუქნათი. თავნი ვალი 3,695 მან. 22 კ., შემოსატანი 462 მან. 3 კ.—სულ 4,157 მან. 25 კ. ვაჭრობა დაიწყება 4,157 მან. 25 კ.

ბ. სოფლის მამულები:

მალაოვისა, კოლეფ. რეგისტრ. მეუღლის მარიამ დიმიტრის ასულისა. სახნაფი, სათიბი, საბალახო ადგილები, ხეხილი და ვენახიანი ბაღები და ტყე ზომით 2,868 დესეტინა 562 ოთხ-კუთხ. საქ ქ. თბილისის გუბ. და მარაში სახელდობ: სადახლო, ჩოჩქანი, ქვემოწოპი; ტოხლიკლისა, არაბატალა, ფალიანი თაქიანი, ღალიტალა, ხუჯაბა, ლიალვარის საძოვარი, ქუღიბანა, დაჩები არაბატალა და გულიბალი თავნი ვალი 47,675 მან. 11 კ. შემოსატანი 2,130 მან. სულ 49,805 მან. 11 კ. ვაჭრობა დაიწყება 49,805 მან. 11 კ.

მკლიქ მისინაოვისა, შუშის მცხოვრებთა: კონსტანტინე, პეტრე, და პავლე დიმიტრის ძეთა და მარგარიტა კარაპეტას ასულისა სახნაფი და საძოვარი ადგილები ზომით 950 დესეტ 275 ოთხ-კუთხ საქ., ქ. ელიზავეტოკოლის გუბერნიის და მარაის კარაარხის დაჩაში. თავნი ვალი 19,555 მან. 39 კაპ. შემოსატანი 1766 მან სულ 21,321 მან. 39 კ. ვაჭრობა დაიწყება 21,321 მან. 39 კ.

შალიკოვისა, ქვრივი კნენა ევატირინე პატას ასულისა. სახნაფი ადგილები და ტყე ზომით 130 დესეტ. ქ. თბილისის გუბერ. და სიღნაღის მაზრაში სოფელ ვეჯინს, გურჯაანს და ნაურთალს. თავნი ვალი 3,761 მან. 65 კ. შემოსატანი 175 მან. 36 კ. სულ 3,937 მან. 1 კ. ვაჭრობა დაიწყება 3,937 მან. 1 კაპ.

ბაქრაძისა, აზნაურის იოსებ დავითის-ძის. საძოვარე ადგილი შენობა-ბებით, ზომით ადგილი 7 დეს. 1843 ოთხ-კუთხი საქენი, თბილისის გუბერნიისაში და მარაში, თავნი ვალი 4871 მან. 82 კ., შემოსატანი 292 მან. სულ — 5,093 მან. 92 კ. ვაჭრობა დაიწყება 5,093 მ. 92 კაპ.

კარისთავისა, თ-დის იოსებ დავითის-ძის. საძოვარი ადგილები და ტყე, ზომით 183 დეს. 1920 ოთხ-კუთხი საქენი, თბილისის გუბერნ., თიონეთის მაზრა სოფ. ბოქორმაში. თავნი ვალი 2,000 მან. შემოსავალი 63 მან. სულ 2,063 მან. ვაჭრობა დაიწყება 2,063 მან.

ვაჭრობა დაიწყება ყოველ მამულზე იმ ჯამიდან, რომელიც ნაჩვენებია. ვაჭრობის მსურველნი მოვალენი არიან წარმოადგინონ ბანკის კასაში ათი % ამ ნაჩვენების ჯამისა. მოვაჭრეთ შეუძლიანთ აღნიშნულზე ნაკლები ფასიც წარმოადგინონ, მაგრამ ამ შემთხვევაში გასყიდვის დამტკიცება დამოკიდებული იქნება გამგეობაზე.

ვაჭრობა მოხდება ქ. თბილისს ბანკის სადგურში. ვაჭრობა დაიწყება 12-დამ და გათავდება ნაშუადღევს 3 საათზე,—ვისაც მსურს ნახოს ხსენებული ქალაქის ან სოფლის მამულები შეუძლიან ადგილობრივ დახედოს ისინი, საბუთები-კი ნახოს ბანკის გამგეობის სამწერლოში მუდამ დღე, გარდა კვირა უქმისა დილის 11-დამ ნაშუადღევს 1 საათამდე

(3-2)